



Паола Урушадзе

Мой

ГАЛАКТИОН

переводы




Паола Урушадзе

Мой
ГАЛАКТИОН
переводы

Издатель –
Международный культурно-просветительский Союз
«**РУССКИЙ КЛУБ**»

Руководитель проекта –
НИКОЛАЙ СВЕТИЦКИЙ
заслуженный деятель искусств РФ



პოეტების მეფე – გალაკტიონი

მე XX საუკუნის უდიდესმა პოეტმა გალაკტიონ ტაბიძემ ძალიან დიდი გავლენა მოახდინა მომავალ ქართველ პოეტებზე.

გალაკტიონი დაიბადა ქუთაისის მახლობლად მდებარე სოფელში ყყვიშში 1891 წლის 17 ნოემბერს. როგორც თვითონ წერდა „მისი წინაპრები დედის მხრიდან მიეკუთვნებოდნენ აფხაზთა მეფის გვარს“. მამა, მღვდელი და სოფლის მასწავლებელი, გარდაიცვალა შვილის დაბადებამდე. 1899 წელს დედამ ბიჭუნა მიაბარა დეკანოზს, კერძო სკოლაში. ერთი წლის მერე სწავლა გააგრძელა ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში. იქ მოსწავლეების სიაში, რომლებიც რეკომინდირებულნი იყვნენ სასულიერო სემინარიაში ჩასარიცხად, გაჩნდა შემდეგი ჩანაწერი: „გალაკტიონ ტაბიძე ან გარდაცვლილ წმინდა გიორგის ტაძრის დიაკვნის შვილი“. ყმაწვილმა თბილისის სემინარიაში ჩააბარა 1908 წელს, იქ დაიწყო ლექსების წერა, გატაცებული იყო ბლოკის, ბოდლერის, ანენსკის, ბალმონტის პოეზიით. ამ დროს გამოცა ხელნაწერი ჟურნალი „სინათლე“. ეს ჟურნალი რელიგიური სასწავლებლისათვის მიუღებელი აღმოჩნდა. მისი თავისუფალი აზროვნების გამო დაინტერესდა პოლიცია და საქმეც კი აღძრეს მის წინააღმდეგ. ამავე დროს მისმა მეგობარმა, ახალგაზრდა ნიჭიერმა პოეტმა ქუჩუ ქავთარაძემ თავი მოიკლა. მეგობრის სიკვდილით გაოგნებული გალაკტიონი 1910 წელს ანებებს თავს სემინარიას და რამდენიმე წელი მუშაობს მასწავლებლად სოფლის სკოლაში.

1914 წელს იბეჭდება გალაკტიონის ლექსების პირველი კრებული. ამ დროს გალაკტიონს შეუყვარდა უფროსკლასელი ოლღა ოკუჯავა. გოგო-

© **Русский клуб**. 2016

ISBN 978-9941-0-9340-1

ნას დედა წინააღმდეგი იყო მათი ურთიერთობის, რადგან თვლიდა, რომ ეს ყმანვილი ლარიბ-ლატაკი იყო და ამავე დროს „არასაიმედო“ პოეტი. ერთი წლის შემდეგ გალაკტიონი ქმნის პოეტურ ციკლს „მერი“, რომელიც მიუძღვნა ულამაზეს თავადის ქალს მერი შერვაშიძეს, რომელმაც პარკში სეირნობისას გვერდით ჩაუარა გალაკტიონს და ყურადღებაც კი არ მიაქცია. 1916 წელს, გალაკტიონმა ცოლად შერთო ოლლა და წყვილი რევოლუციამდე გაემგზავრა პეტროგრადსა და მოსკოვში. გალაკტიონი იქ შეხვდა ბლოკს, ბრიუსოვს და ბალმონტს. მისმა ახალგაზრდა მეუღლემ გადაწყვიტა გაეგრძელებინა განათლება რუსეთში და მოენყო ქალთა უმაღლეს კურსებზე. თვითონ გალაკტიონი კი სამშობლოში დაბრუნდა. რამდენიმე ხნის შემდეგ ის ბრუნდება მოსკოვში და ესწრება მოსკოვის სამოყვარულო სცენის სარეჟისორო კურსებს.

საქართველოს გასაბჭოების შემდეგ გალაკტიონი საქართველოს მწერალთა კავშირის რედაქტორად იწყებს მუშაობას, სხებთან ერთად დააფუძნებს ჟურნალ „მნათობს“, სადაც 1924 წელს დაიბეჭდა მისი პოემა „მოგონებები იმ დღეების, როცა იელვა“. ამის გამო პოეტი დააკავეს, ტირაჟი კი გაანადგურეს. სამი წლის შემდეგ „მნათობში“ ასამდე მისი ლექსი იბეჭდება. ორიოდ წლის შემდეგ სოხუმში გალაკტიონისადმი მიძღვნილი საზეიმო საღამო იმართება, სადაც მას უძღვნიან ჩანგს წარწერით: „გალაკტიონი – პოეტა მეფე“. 1928 წელს საქართველოში ფართოდ აღინიშნება 20 წლის იუბილე მისი შემოქმედებისა. კომინტერნის 6-ე კონგრესის დელეგატებთან ერთად გალაკტიონმა იმოგზაურა საბჭოთა კავშირის ქალაქებში. ერთი წლის შემდეგ მის მეუღლეს ასახლებენ ტაჯიკეთში. ის დროებით დაბრუნდა თბილისში და 1941 წელს დააპატიმრეს და დახვრიტეს. რეპრესიების წლებში გალაკტიონი დეპრესიაში ჩავარდა, დაიწყო სმა. მიუხედავად ამისა, ჯილდოები არ აკლდა. გალაკტიონს მიანიჭეს საქართველოს სახალხო პოეტის წოდება, აგზავნიან დელეგატად ანტიფაშისტურ კონგრესზე პარიზში, აჯილდოებენ ლენინის ორდენით. სამამულო ომის პერიოდში ის წერს მრავალ პატრიოტულ ლექს. ომის შემდგომ პერიოდში გალაკტიონი გვევლინება, როგორც ბრწყინვალე ლირიკოსი პოეტი და მას ირჩევენ საქართველოს აკადემიის აკადემიკოსად.

გალაკტიონი გვევლინება პოეტური ფორმის ნოვატორად, რომელიც ღრმად არის დაკავშირებული ეროვნული ლიტერატურის ტრადიციებთან. 1959 წლამდე ის ხელმძღვანელობდა საქართველოს მწერალთა კავშირში პოეტების სექციას. ამავე წლის 17 მარტს საავადმყოფოში სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა.

მისი ლექსები მსოფლიოს მრავალ ენაზეა თარგმნილი. რუსულ ენაზე მის ლექსებს თარგმნიდნენ ისეთი პოეტები, როგორც იყო ბელა ახმადულინა, ვლადიმერ ლეონოვიჩი, ბენედიქტ ლივშიცი, ვლადიმერ ალენიკოვი, ილია დადაშიძე, ალექსანდრე ციხულევსკი და სხვები.



КОРОЛЬ ПОЭТОВ ГАЛАКТИОН

Галактион Табидзе – великий грузинский поэт XX века, оказавший огромное влияние на все последующие поколения своих земляков-поэтов. Он родился 17 ноября 1891 года в селе Чквиши близ Кутаиси и сам писал, что его «предки по материнской линии принадлежали к роду абхазских царей». Отец – священник и сельский учитель умер до рождения сына. В 1899-м мать отправила мальчика в частную школу в доме протоиерея, через год он стал учиться в духовном училище в Кутаиси. Здесь в списке учеников, рекомендованных в Духовную семинарию, появилась запись: «Галактион Табидзе – сын ныне покойного причетника церкви св. Георгия». В Тбилисскую семинарию юноша поступил в 1908 году, начал там писать стихи, увлекся поэзией А. Блока, Ш. Бодлера, И. Анненского, К. Бальмонта, стал издавать рукописный журнал «Свет» (სინათლე). Это не соответствовало духу религиозного учебного заведения, кроме того, за «вольномыслие» Галактионом заинтересовалась полиция и даже завела на него дело. А тут еще кончил жизнь самоубийством его друг, молодой талантливый поэт Кучу Кавтарадзе. Потрясенный этой смертью, Табидзе в 1910-м бросает семинарию и некоторое время работает учителем в сельской школе.

В 1914 году появился первый сборник его стихов, он влюбляется в гимназистку старшего класса Ольгу Окуджава, но мать девушки не одобряет ее встречи с бедным, неблагонадежным поэтом. Через год Галактион создает поэтический цикл «Мери», посвященный красавице-княжне Мери Шервашидзе, которая прошла мимо него в парке, даже не заметив. А в 1916-м он все-таки женится на Ольге, перед революцией супруги побывали в Петрограде и Москве, Галактион встретился с Блоком, Брюсовым и Бальмонтом. Его молодая жена решила продолжить образование и поступила на Высшие женские курсы. А сам он вернулся на родину. Снова приехав в Москву, посещает режиссерские курсы Московской любительской сцены.

На родине, после того, как Грузия была советизирована, Галактион работает в Союзе писателей Грузии, вместе с группой основывает журнал «Мнатоби», где в 1924-м появилась его поэма «Воспоминание тех дней, когда сверкнула молния». Автора задержали, тираж уничтожили. Через три года в «Мнатоби» появляются 100 его стихотворений, а еще через пару лет в Сухуми проводят торжественный вечер в его честь, ему преподносят лиру с надписью: «Галактиону – царю поэтов». В 1928 году в Грузии широко отмечается 20-летний юбилей его поэтической деятельности, вместе с делегатами 6-го конгресса Коминтерна он совершит поездку по стране.

А через год его жену ссылают в Таджикистан, она ненадолго вернулась в Тбилиси, но снова была арестована и расстреляна в 1941-м. В годы репрессий Табидзе начинает страдать депрессией, много пьет, хотя на него сыплются награды. Ему присваивают звание «Народный поэт Грузинской ССР», делегируют на антифашистский конгресс в Париже, награждают орденом Ленина. В годы Великой Отечественной войны он пишет много патристических стихов, а в послевоенный период выступает преимущественно как лирик, избирается академиком Академии наук Грузинской ССР. Неразрывно связанный с традициями национальной литературы, он был в то же время новатором поэтической формы. До 1959 года он руководил поэтической секцией в Союзе писателей Грузии. 17 марта этого же года, в больнице, он покончил жизнь самоубийством. Его стихи переведены на многие языки. Их переводили такие поэты, как Белла Ахмадулина, Владимир Леонович, Бенедикт Лившиц, Владимир Алейников, Илья Дадашидзе, Александр Цыбулевский и другие.

პით გზის დალოცვა...

Переводчик я, переводчик!

Из страны в страну – светлых душ перевозчик.

კ.-მ. კორინტელი

რამოდენიმე ხნის წინ, უფრო ზუსტად კი 2012 წელს, ჟურნალ „რუსკი კლუბის“ მეთერთმეტე ნომერში წავიკითხე გალაქტიონ ტაბიძის ორი ლექსი – „ეფემერა“ და „მერის“ რუსული თარგმანი. თარგმანის ავტორი აღმოჩნდა პაოლა ურუშაძე. წავიკითხე ინტერესით და სიხარულით – ჯერ ერთი ეს იყო დიდი გალაქტიონი, პოეტების მეფე, რომელსაც არა ერთხელ გამოუვლია ჩვენს რედაქციაში, „ლიტერატურნაია გრუზიაში“, სადაც მე, მაშინ ჯერ კიდევ საკმაოდ გამოუცდელ ლიტმუშაკს წილად ხვდა ბედნიერება – მასთან საუბარი, თუნდაც მოკლე... მთარგმნელი გახლდათ პაოლა, ერთ-ერთი ჩემი უსაყვარლესი ადამიანი, რომელთანაც დიდი ხნის მეგობრული ურთიერთობა მაკავშირებს, – როგორც მამამისთან, შესანიშნავ ხელოვნებამცოდნესთან, ჭეშმარიტ ინტელიგენტთან უაღრესად ერუდირებულ ადამიანთან იგორ ურუშაძესთან თანამშრომლობის და კარგი ურთიერთობის თავისებური გაგრძელება.

პაოლას ლექსები – იგი მრავალი პოეტური კრებულის ავტორია, – გამოირჩევა პოეტურობით, მუსიკალობით, ემოციურობით და ძალიან ახლოა ჩემს სულიერ სამყაროსთან.

გალაქტიონი... ის რაღაც ერთბაშად შემოაღებდა ხოლმე ჩვენი ოთახის კარს, ერთ წუთს შეჩერდებოდა, სანდომიან სახეს ოდნავ მოატრიალებდა ჩემსკენ და თავისი საოცარი მუქი თვალებით შემომხედავდა... ხელში ჰქონდა ხოლმე დიდი შავი პორტფელი, – ნიგნებით თუ ხელნაწერებით სავსე. გალაქტიონს მოყვებოდა მისი მთარგმნელი პატარიძე (სამწუხაროდ არ მახსოვს ესხლა მისი სახელი). და, ალბათ იმიტომ, რომ ჩემი მაგიდა კარის პირდაპირ იდგა, გალაქტიონი უშუალოდ მომართავდა მე...

...როდესაც წავიკითხე ორივე ლექსი, მაშინათვე მივხედი, რომ ეს რაღაც სრულიად განსაკუთრებულია. „მერი“ მანამდეც არაერთხელ იყო ნათარგმნი, მაგრამ სრულიად სხვანაირად. პაოლას თარგმანმა სავსებით ჩამოაშორა ლექსს გაუცხოვების რიდე, რომელიც ჩრდილავს ხოლმე ბნეკარედით შესრულებულ თარგმანს.

ქართული პოეზიის და ასევე პროზის რუსულად თარგმნის ინტენსიურად

განვითარება იწყება გასული, XX საუკუნის 30-ანი წლებიდან და გრძელდება თვით საბჭოთა კავშირის რღვევამდე, რასაც გრანდიოზული ცვლილებები მოყვა, – tempora mutantur et nos mutamur in illis (დრონი იცვლებიან და ჩვენც ვიცვლებით მათთან ერთად). მანამდე კი საქართველოში, მოსკოვსა და რუსეთის სხვა ქალაქებში გამოცემული იქნა ქართველ მწერალთა მრავალი ნაწარმოები.

ქართული პოეზიის რუსულად თარგმნის საქმეში დიდი ღვაწლი მიუძღვის გამოჩენილ რუს პოეტებს. სწორედ მათ თარგმანებში ქართული პოეზია გაჟღერდა პუშკინის და ლერმონტოვის ენაზე და მისანვლოში გახდა არა მარტო რუსულენოვანი მკითხველისათვის, რადგანაც არა ერთი თარგმანი უცხო ენაზე შესრულდა რუსულის მეშვეობით. რუსულად თარგმანში მუშაობდნენ ასევე ჩვენი, აქ მცხოვრები რუსულენოვანი პოეტები.

...და აი ეხლა ჩემს სანერ მაგიდაზე დევს გალაქტიონის 15 ლექსის პაოლასეული თარგმანი.

პაოლა ურუშაძე ქმნის გალაქტიონის პოეზიის საკუთარ ინტერპრეტაციას, მას აქვს მისი საკუთარი ხედვა, საკუთარი გაგება და განცდა.

პოეტური და ასევე მთარგმნელობითი ნიჭი, – ცნობილია, რომ არა ყოველი პოეტი მთარგმნელია, – რუსული ენის შესანიშნავი ფლობა და ორიგინალის ენის ღრმა ცოდნა, ერუდიცია, მდიდარი სულიერი სამყარო – ყველაფერი ეს საინტერესო და განსაკუთრებულს ხდის მის თარგმანებს.

ეს თარგმანები ერთ და იმავე დროს ახლოც არის დედანთან და თითქოს დაშორებულია მას. მთარგმნელი თავს ნებას აძლევს და მიდის განსაზღვრულ დაშორებაზე, მაგრამ არამც და არამც არ არღვევს ლექსის ემოციურ სამყაროს. სახეების მისეული ექვივალენტები მეტყველი, ხატოვანი და ლექსისთვის ორგანულია. აქ უნებურად ჩნდება კიტხვა: შესაძლებელია კი პოეზიის თარგმნა? – ჩემი აზრით, არა ყოველთვის და არა სრულად. საქმე ის არის, რომ ქვეყნის გეოგრაფია, მისი ჰავა, ისტორია და აქედან – ერის პსიქოლოგია, მსოფლმხედველობა, სამყაროს აღქმა, ემოციური სამყარო და კიდევ სხვა ფაქტორები, ყოველი თავისი მნიშვნელობის და ძალის მიხედვით, ქმნიან უხილავ და მთარგმნელისთვის ზოგჯერ წყალშქვეშა რიფებივით გადაულახავ დაბრკოლებებს და სიძნელეებს, საჭირო ხდება შემოვლითი გზების ძიება. აქ მთარგმნელს უნდა დაეხმაროს მხატვრული ალლო, ინტუიცია, ერუდიცია და – შთაგონება!

თარგმანი ყოველთვის საინტერესოა, და რაღა თქმა უნდა, რომ რუსთაველი, ვაჟა ფშაველა, გალაქტიონი, ბარათაშვილი, ლეონიძე ანდამანტივით იზიდავდნენ გამოჩენილ რუს პოეტებს. ისინი ჩამოდიოდნენ საქართველოში, ცხოვრობდნენ აქ, მეგობრობდნენ ქართველ მწერლებთან (ზოგჯერ სიცოცხლის ბოლომდე). მწერალთა კავშირი და საქართველოს იმდროინდელი ხელისუფლება მათ საუკეთესო პირობებს უქმნიდა, ყოველნაირად ბელს მართავდა. ისინი ცხოვრობდნენ ქართულ ოჯახებში, მოგზაურობდნენ ქვეყანაში, ეცნობოდნენ ქართულ სამყაროს. მათთვის აკეთებდნენ ბნკარედებს. ყველა ენის ცოდნა შეუძლებელია, ამიტომ ბნკარედი აუცილებელია, მაგრამ,

სამწუხაროდ, ბნკარედი ვერ გადმოსცემს დედნის მელოდიკას, მის ფონეტიკურ ჟღერადობას, ცალკეულ სიტყვათა და გამოთქმების ასოციაციურ კავშირებს და ვერც დედნის არომატს. ასეა თუ ისე რუსმა მწერლებმა დიდი ამაგი დადეს ქართული პოეზიის რუსულად თარგმანის საქმეში. და მიუხედავად იმისა, რომ პოეზია, ჩემის აზრით არ ითარგმნება ბოლომდე, თარგმანი აუცილებელია, უნდა ვთარგმნოთ, უნდა ვეძიოთ და მივისწრაფვოდეთ მაქსიმუმისაკენ, რადგანაც ეს არის ერთადერთი გზა უცხოური ლიტერატურის გასაცნობად.

ისე რომ პაოლა ურუშაძეს თავიდანვე აქვს დიდი უპირატესობა – ორიგინალის და თარგმანის ენების ღრმა ცოდნა. ამასთან ქართული ეროვნული ფსიქოლოგიის მატარებელია.

ალბათ, არ იქნება ზედმეტი გავიხსენო, როდის და როგორ აჟღერდა გალაქტიონის ჰანგები პაოლა ურუშაძის სულში, მის შემოქმედებით ველზე. მისი საკუთარი გზა გალაქტიონისაკენ დაიწყო ჯერ კიდევ ახალგაზრდობაში. პაოლას ახლო ნათესავი, ვისაც ოცი წლის გოგონა დიდ პატივს სცემდა, პოეზიის დიდი მცოდნე და მოყვარული გახლდათ. ის თავად წერდა ლექსებს და გალაქტიონის პოეზიით იყო გატაცებული, მან აზიარა პაოლას გალაქტიონის შემოქმედებას. იმ დროიდან გალაქტიონი შემოვიდა მისი შემოქმედებითი ინტერესების სფეროში.

გალაქტიონ ტაბიძის 15 ლექსის თარგმანების ბილინგვური გამოცემა, ჩემის აზრით. მნიშვნელოვანი მოვლენაა. ის დააინტერესებს არამარტო პროფესიონალს, არამედ ჩვეულებრივ მკითხველსაც, რადგანაც საშუალებას იძლევა შედარებისათვის, ფიქრისა და განსჯისათვის.

მე კი ისლა დამრჩენია, რომ არავის თავს არ მოვახვიო ჩემი მოსაზრებები და შეფასებები და ნიგნს გზა დაჯულოცო, მთარგმნელ კი ახალ წარმატებები და შემოქმედებითი სიხარული ვუსურვო.

კამილა მარიამ კორინთელი

პოეტი, მთარგმნელი,
საქართველოს მწერალთა კავშირის წევრი,
საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი,
ღირსების ორდენის კავალერი,
ივ. მაჩაბელის სახ. პრემიის ლაურეატი

КАК НАПУТНОЕ СЛОВО...

*Переводчик я, переводчик!
Из страны в страну – светлых душ перевозчик.
КМ Коринтели*

Несколько лет назад, – а точнее – в 2012 году, в номере 11 журнала «Русский клуб» появились два стихотворения Галактиона Табидзе – «Эфемера» и «Мери» в переводе Паолы Урушадзе. Конечно, они тотчас заинтересовали меня – во-первых, это был Галактион, великий Галактион, король поэтов, который не раз приходил в нашу редакцию, с которым я, тогда еще весьма малоопытный литсотрудник отдела прозы и поэзии, с трепетом разговаривала, а во-вторых (и это опять-таки, во-первых) – Паола Урушадзе, замечательный лирик, автор нескольких поэтических сборников, чья поэзия вызывает во мне большой отклик, с которой у нас давние очень теплые дружеские отношения, как бы продолжение творческих отношений с ее отцом, известным искусствоведом, высокоэрудированным интеллигентом Игорем Урушадзе.

Галактион... Он как-то сразу распахивал дверь нашей комнаты и вставал на пороге с чуть повернутым в мою сторону благообразным лицом в окладе небольшой бороды, с каким-то непередаваемым взором темных глаз, в руках – портфель, полный книг, рукописей... За ним следовал его переводчик – Патаридзе (сейчас, к сожалению, не помню его имени), и, вероятно, поскольку мой стол стоял напротив двери, Галактион обращался ко мне...

...Когда я прочла оба перевода, я поняла, что это нечто иное, чем прежде прочитанные. Вернее, известен был один перевод – «Мери», это стихотворение переводилось не раз. Перевод Паолы предельно откинул покров отстраненности от подлинника...

Перевод грузинской поэзии, как и прозы на русский язык начал интенсивно развиваться с 30-х годов минувшего столетия. Процесс этот успешно, плодотворно протекал вплоть до развала Советского Союза, ну

а потом слишком многое изменилось – *tempora mutantur et nos mutamur in illis* (времена меняются, и мы меняемся с ними)...

На протяжении многих десятилетий было издано в Грузии и на всем советском пространстве большое количество лучших произведений грузинских писателей. Основную лепту в благородное дело перевода внесли известные русские поэты. Это их заслуга, что грузинская поэзия зазвучала на языке Пушкина и Лермонтова и таким образом стала достоянием не только русскоязычной читательской аудитории – нередко с русского выполнялись переводы на другие языки. Немало работали в этой области и наши русскоязычные поэты.

Паола Урушадзе дает свою интерпретацию, свое видение и понимание, я бы сказала – свое толкование поэзии Галактиона. Поэтический дар, прекрасное знание русского языка плюс знание языка оригинала, богатство внутреннего мира и талант переводчика – ведь можно быть хорошим поэтом, но не быть переводчиком – делают особо интересной ее интерпретацию. Ее переводы – 15 стихотворений Галактиона – и близки оригиналу и, вроде бы, отдалены от него. Паола Урушадзе позволяет себе определенную вольность, однако вольность эта – в эмоциональном ключе оригинала. Ее эквиваленты образов выразительны и органичны для стихотворений. Здесь невольно встает вопрос – переводима ли вообще поэзия? Не всегда и не полностью. География, климат, история страны, психология народа, его мировоззрение, мировосприятие, эмоциональный мир, – все эти и еще другие факторы, каждый по степени своей значительности, переплетаясь создают невидимые порой препятствия, словно подводные рифы, встают на пути переводчика и вынуждают его искать обходные пути, и тут на помощь приходит художественное чутье, поэтический талант, вкус, интуиция, эрудиция и – вдохновение!


И несмотря на все и вопреки моему убеждению, что поэзия до конца непереводаема – надо дерзать, надо искать – и находить максимум.

Перевод всегда интересен. И конечно, такие колоссы, как Руставели, Важа Пшавела, Галактион, Бараташвили, Леонидзе, тем более привлекали внимание многих русских поэтов. Они приезжали в Грузию, они жили здесь, дружили с грузинскими поэтами (порой на всю жизнь), для них создавали все условия Союз писателей Грузии, и власти, и сами наши писатели, они ездили по Грузии, гостили в семьях, для них делали подстрочки...

Естественно, далеко не всегда, возможно – а точнее, в данном случае, нереально знать язык оригинала. Потому подстрочник необходим, но, к сожалению, какой бы верный и грамотный он ни был, он не может передать ни фонетическое звучание оригинала, его мелодику, ни эмоциональный строй, ни ассоциативный мир отдельных слов и выражений, ни в целом дух оригинала. Итак, одно весьма важное обстоятельство в пользу переводчика Пао-

лы Урушадзе – знание обоих языков: перевода и оригинала. Кроме того – понимание национальной психологии, проявляющейся в эмоциональном мире оригинала разумеется, и в идиоматике и во многом другом. Паола Урушадзе с юности начала путь к Галактиону. Ее близкий родственник, который был намного старше Паолы, любил и знал грузинскую поэзию (и не только грузинскую), сам писал стихи, не избегнув влияния Галактиона. Он познакомил ее с творчеством этого гения. С тех пор его поэзия определенным образом присутствовала в сфере ее творческих интересов. Еще хочу заметить, что билингвизм это не всегда равноценное знание двух языков, а именно: если язык оригинала родной это дает возможность переводчику абсолютно его понимать. Издание переводов стихов Галактиона параллельно с оригиналами на мой взгляд, весьма значительное явление. Здесь можно о многом поразмыслить, многое сравнить и оценить. Так что, никого не обременяя своим мнением, предоставляю слово читателю! Я лишь пожелаю этой книге доброго пути, а переводчику – успеха и достижений!

**Камилла Мариам КОРИНТЭЛИ,
поэт, переводчик, член СП,
заслуженный журналист Грузии,
кавалер ордена Чести,
лауреат премии И.Мачабели**



СТИХОТВОРЕНИЯ И ПЕРЕВОДЫ ქექსეპი ღა თარგმანეპი



ეჭემერა

ცხენთა შეჯიბრებაზე ჩემი ლურჯა ცხენები
ჰქროდნენ ეფემერული და ფერადი ქარებით,
იყვნენ საუკუნენი, მაგრამ მე ვიხსენები
გაფრენილი პირველი წყების ნიაგარებით.
ვნუხვარ: ერთადერთი ვარ და ზეცაზე სწერია
ჩემი გზა და ახალი ლალის კართაგენები,
ბედი – ქროლვის გარეშე – ჩემთვის არაფერია,
ჩემთვის ყველაფერია ისევ ლურჯა ცხენები.
ჰე, ქაოსში დაკარგულს ქარი დამედევნება
ძახილით: გალაკტიონ! და ძნელია მიგნება.
სადაც ახლა ჯვარია და გვიანი მტევნები,
იქ უკვდავი მაგიის მარმარილო იქნება.
რამდენი ქარავანი, მთებზე გადამართული,
გაიშლება მცნობელი მღვრიე უდაბნოეთის,
წვეთი სისხლის არ არის ჩემში არაქართული,
ძაფი ნერვის არ არის ჩემში არაპოეტის.
ო, რამდენი დაცხრება შურიანი თვალები,
რომ მარად იმარჯვებენ იდუმალი მშვენებით,
ლექსთა შეჯიბრებაზე – მხოლოდ ინტერვალები,
ცხენთა შეჯიბრებაზე – ისევ ლურჯა ცხენები!

ЭФЕМЕРА

Неземными вихрями – бешеными, ярыми –
Кони мои синие мчались на ристалище...
Я запомнюсь в вечности только Ниагарами,
Что срывались первыми с гулом нарастающим.
Знаю: я единственный, и судьбой заранее
Было мне начертано в небе звездным инеем –
Жизнь без вдохновения – тлен и умирание,
Для меня вселенная, – только кони синие.
С возгласом «Галактион!» ветер вслед погонится,
Дрогнет и из хаоса не сумеет выбиться.
Там, где гроздь поздние, там, где крест и звонница,
Там бессмертной магии белый мрамор вздыбится.
Скоро тучи вьючные, что на кручах грезили,
Караваном выступят, – ждать уже недолго.
В каждой моей клеточке бьет ключом поэзия,
Каждой каплей крови я – лишь грузин и только.
Сколько будет горечи в этих взглядах жалящих:
Вновь прорвались к Вечности сказочным усилием
Интервалы звонкие на стихов ристалище,
В конном состязании – снова кони синие...

აჰა! შორით მოისმის ქვეყნიური გუგუნი,
 ელვა ელვას გაეკრა, დაელეკა ცას ღვარი,
 გაქრა, როგორც ღუმელი, ცოდვით გადაბუგული,
 უკანასკნელ ძებნათა სევდიანი საზღვარი.
 კიდეები შემლილი, ღამეები ველური
 დაიტვირთონ წამებით, ღამე მთვარეს მოეხას.
 სულს სწყურია საზღვარი ისევ ეფემერული,
 სულს სწყურია საზღვარი, როგორც უსაზღვროებას.
 თქვი, რას ნიშნავს ზენიტზე მდგარი შორი პალმები?
 წინ! იმ უსაზღვრობაში მწუხარებას აიტან.
 ჩემებრ დიდ საიდუმლოს მე იქ მივესალმები,
 ყოველ მხრივ სივრცე იყოს, შველა კი – არსაიდან.
 ო, უბრალო ხმებისთვის არასდროს არ მეცალა,
 დაისერა მსოფლიო გამოუცნობ წყლულებით.
 კოშკებს სიზმარეთისას ნისლი გადაეცალა
 და იქ მიექანება სული განწირულებით.
 ნეტავ ჯოჯოხეთისა დარდმა გამიყოლიოს,
 სადაც ვარდებს ბალისას მაისობა უქრება.
 მძიმე ქვების ქუსლებით დავეყრდნობი პოლიუსს,
 როცა ქარი მოსკდება და ცას შეემუქრება.
 როგორც უხვი მემკვიდრე, ვისვრი სავსე პეშვებით
 ფანტასტიურ მკვლევლობებს და ოცნებას მკათათვის.
 წარსულში, მომავალში წყევლით გადავეშვები,
 რომ ძეგლები ავმართო მღვრიე მშვენიებათათვის.
 თქვენ შეხედეთ: პირველი ჩნდება მერიდიანი,
 ვეძებ ისევ დაღუპვას და დავცინი სიბერეს,
 წარსულს წყდება ფოთლების წყება იმედიანი,
 შემოდგომის ქარვებმა გზები გადამიფერეს.
 დე, თამაშის თუ ბრძოლის ვიყო ცქერით გართული,
 იყოს მზეთა ორგია და მაგია მთვარისა,
 ვიყო ამ ღრიანცელში მარად ხელაღმართული,
 ლანდი - არაქვეყნიურ დარდით გადამწვარისა. –

Слышен рокот издали, – не спеши, прислушайся:
 Молния о молнию! Небо в муках корчится,
 И горит, бессильная перед этим ужасом,
 Та черта – последняя – между мной и творчеством...
 Снова станет Временем дней чересполосица,
 Ночи одичалые тонут в лунной нежности, –
 Только эфемерные мне начала по сердцу,
 Те, что у бескрайности, те, что у безбрежности...
 Пальмы в нимбе солнечном! Значит снова в детстве я...
 Снова жизнь представится мне в обличье истинном.
 Как и я – огромную – тайну в ней приветствую
 В ком-то мне неведомом, как и я – единственным.
 На напевы праздные я не тратил времени, –
 Мир исчерчен ранами... Запах тьмы и тления.
 Башня с привидением выплыла из темени,
 И душа бездольная ищет в ней забвения.
 Пусть меня отчаянье бросит в даль ледовую,
 Где ни сада с розами, ни равнины с пашнями, –
 Втисну в шапку полюса каблуки пудовые,
 И пусть небо с вьюгами бьется врукопашную.
 Кину дланью щедрою миру неимущему
 Бойни небывалые и мечты несметные,
 Кинусь в бездну прошлого, вознесусь к грядущему,
 Чтоб химерам выстроить капища бессмертные.
 Хрустнули вдоль полюса льды меридианами,
 Вновь ищу я гибели и не жду спасения.
 Старый путь мой вежами – охристыми, рдяными
 Расчертили заново янтари осенние.
 Век бы не насытиться этим чудным бдением,
 Этим конским цокотом, лунным чернокнижием,
 Век стоять бы в грохоте призраком, видением
 С болью непомерно в сердце насквозь выжженном.

დამრჩეს ეს საიდუმლო, როგორც წმინდა ემბაზი,
ეფემერა მომექცეს, როგორც ღამეს ენებოს.
ცხენთა შეჯიბრებაზე! ცხენთა შეჯიბრებაზე!
ცხენთა შეჯიბრებაზე გასწით, ლურჯა ცხენებო!

1916

Пусть же вечной тайною ты со мной останешься,
Как Грааль неведомый... и долой уныние!
Вихрем на ристалище, вихрем на ристалище,
Вихрем на ристалище
мчитесь, кони синие!

1916



მთაწმინდის მთვარე

ჯერ არასდროს არ შობილა მთვარე ასე წყნარი!
მდუმარებით შემოსილი შეღამების ქნარი
ქროლვით იწვევს ცისფერ ლანდებს და ხეებში აქსოვს...
ასე ჩუმი, ასე ნაზი ჯერ ცა მე არ მახსოვს!
მთვარე თითქოს ზამზახია შუქთა მკრთალი მძივით,
და, მის შუქში გახვეული მსუბუქ სიზმარით,
მოჩანს მტკვარი და მეტეხი თეთრად მოელვარე...
ოჰ! არასდროს არ შობილა ასე ნაზი მთვარე!
აქ ჩემს ახლო აკაკის ლანდს სძინავს მეფურ ძილით,
აქ მწუხარე სასაფლაოს, ვარდით და გვირილით,
ეფინება ვარსკვლავების კრთომა მხიარული,
ბარათაშვილს აქ უყვარდა ობლად სიარული...
და მეც მოვკვდე სიმღერებში ტბის სევდიან გედად,
ოლონდ ვთქვა, თუ ღამემ სულში როგორ ჩაიხედა,
თუ სიზმარმა ვით შეისხა ციდან ცამდე ფრთები,
და გაშალა ოცნებათა ლურჯი იალქნები;
თუ სიკვდილის სიახლოვე როგორ ასხვაფერებს
მომაკვდავი გედის ჰანგთა ვარდებს და ჩანჩქერებს,
თუ როგორ ვგრძნობ, რომ სულისთვის, ამ ზღვამ რომ აღზარდა,
სიკვდილის გზა არ-რა არის, ვარდისფერ გზის გარდა;
რომ ამ გზაზე ზღაპარია მგოსანთ სითამამე,
რომ არასდროს არ ყოფილა ასე ჩუმი ღამე,
რომ, აჩრდილნო, მე თქვენს ახლო სიკვდილს ვეგებები,
რომ მეფე ვარ და მგოსანი და სიმღერით ვკვდები,
რომ წაჰყვება საუკუნეს თქვენთან ჩემი ქნარი...
ჯერ არასდროს არ შობილა მთვარე ასე წყნარი!

1915

ЛУНА МТАЦМИНДЫ

Никогда на мир не лился лунный свет так безмятежно!
Лира тени голубые в тишине взметаёт нежным
Дуновеньем, и вплетает в сосны... кипарисы...
Никогда таким покоем не дышали выси.
А сама луна, как ирис в голубом сиянье,
Той же тишью, тем же светом – лунным – осиянный
Над Курой Метехи реет в ризе белоснежной.
Никогда на мир не лился лунный свет так нежно.
Здесь поодаль спит Акакий величавой тенью,
На его могиле маки, алых роз сплетенье,
С неба к ним склонились звезды, трепеща лучами...
Здесь бродил Бараташвили, как и я – ночами.

Пусть умру, умру, как лебедь, истомлюсь в предсмертном пенью,
Лишь бы смог я этой ночью влить в стихи души волненье;
Рассказать, как по простору сон пронесся легкокрыло,
На лету мечте на мачте взвевяв синие ветрила;
Как сливает близость смерти у могилы воедино
Трель ручья и гром потока в звуках песни лебединой;
Как мне с морем вдохновенья довелось душою слиться,
Как увидел я путь к смерти в свете розовой зарницы
И постиг, что там – в преданьях – лишь дерзания поэтов.
Что не видел в жизни ночи я безмолвнее, чем эта;
Что с великими тенями рядом смерть я принимаю,
Что я царь, певец и с песней недопетой умираю,
И что жизнь моих творений безгранична и безбрежна.
Никогда на мир не лился лунный свет так безмятежно!

1915

23

22

ლურჯა ცხენები

როგორც ნისლის ნამქერი, ჩამავალ მზით ნაფერი,
ელვარებდა ნაპირი სამუდამო მხარეში!
არ ჩანდა შენაპირი, ვერ ვნახე ვერაფერი,
ცივ და მიუსაფარი მდუმარების გარეშე.
მდუმარების გარეშე და სიცივის თარეშში,
სამუდამო მხარეში მხოლოდ სიმწუხარეა!
ცეცხლი არ კრთის თვალეშში, წევხარ ცივ სამარეში,
წევხარ ცივ სამარეში და არც სულს უხარია.
შეშლილი სახეების ჩონჩხიანი ტყეებით
უსულდგმულო დღეები რბიან, მიიჩქარიან!
სიზმარიან ჩვენებით - ჩემი ლურჯა ცხენებით
ჩემთან მოესვენებით! ყველანი აქ არიან!
იჩქარიან წამები, მე კი არ მენანება:
ცრემლით არ ინამება სამუდამო ბალიში;
გაქრა ვნება-წამება, როგორც ღამის ზმანება,
ვით სულის ხმოვანება ლოცვის სიმხურვალეში.
ვით ცეცხლის ხეტიალი, როგორც ბედის ტრიალი,
ჩქარი გრგვინვა-გრიალით ქრიან ლურჯა ცხენები!
ყვავილნი არ არიან, არც შვება-სიზმარია!
ეხლა კი სამარეა შენი განსასვენები!
რომელი სცნობს შენს სახეს, ან ვინ იტყვის შენს სახელს?
ვინ გაიგებს შენს ძახილს, ძახილს ვინ დაიჯერებს?
ვერავინ განუგეშებს საოცრების უბეში,
სძინავთ ბნელ ხვეულებში გამოუცნობ ქიმერებს!
მხოლოდ შუქთა კამარა ვერაფერმა დაფარა:
მშრალ რიცხვების ამარა უდაბნოში ღელდება!
შეშლილი სახეების ჩონჩხიანი ტყეებით
უსულდგმულო დღეები ჩნდება და ქვესკნელდება.
მხოლოდ ნისლის თარეშში, სამუდამო მხარეში,
ზევით თუ სამარეში, წყევლით შენაჩვენები,
როგორც ზღვის ხეტიალი, როგორც ბედის ტრიალი,
ჩქარი გრგვინვა-გრიალით ქრიან ლურჯა ცხენები!

1915



СИНИЕ КОНИ

Весь, как облака громада, он сверкал в лучах заката –
Этот берег безымянный, тайной издали маня.
А сбылось, – душа не рада, не таким он был загадан,
Лишь безмолвием и хладом Вечность встретила меня.
Лишь безмолвие застыло в бесконечности унылой,
А душе давно постыло ждать спасения извне.
Обескровлен, обессилен – ты лежишь в сырой могиле,
Ты лежишь в сырой могиле в неприступной глубине.
В редких всполохах зарницы дней безликих вереница,
Не оглядываясь, мчится, как на свой последний Суд.
Стоит сном лишь мне забыться, всех сюда, в мою темницу,
На крылатых колесницах кони синие несут.
Дни бегут, и поневоле я смиряюсь с моей долей,
Не нарушит стон мой боле тишину могильных плит.
Вся тоска моя по воле, по моей земной юдоли –
Только отзвук давней боли в жарком пламени молитв.
Словно вихрь неукротимый, словно рок неумолимый,
Синих коней мчится мимо огнедышащий поток.
В диком грохоте и вое позабудь о сне, покое –
Лишь под каменной плитою твоей спасительный чертог.
Миг, и все, что было в прошлом, обернулось разом ложью,
Ты от мира отгорожен лабиринтами пещер.
Здесь тебя уже не сможет успокоить слово Божье
И ничто не потревожит сон загадочных химер.
А в необозримой выси вьется звезд несметный бисер.
Чередой бесплотных чисел в поле стелются лучи.
Здесь же, в каменной темнице, безотрадной вереницей
Дни рождаются, чтоб скрыться в тот же миг во мгле ночи.
Мгла все вкрадчивей, все глуше, все безжалостнее стужа.
И в могиле, и снаружи, наяву и в зыбком сне
Словно рок неумолимый, вдале проклятием гонимы,
Кони синие незримо мчатся с ветром наравне.

1915

მერი

შენ ჯვარს ინერდი იმ ღამეს, მერი!
მერი, იმ ღამეს მაგ თვალთა კვდომა,
სანდომიან ცის ელვა და ფერი
მწუხარე იყო, ვით შემოდგომა!

აფეთქებული და მოცახცახე
ინვოდა ნათელ ალთა კრებული,
მაგრამ სანთლებზე უფრო ეგ სახე
იყო იდუმალ გაფითრებული.

ინვოდა ტაძრის გუმბათი, კალთა,
ვარდთა დიოდა ნელი სურნელი.
მაგრამ ლოდინით დაღალულ ქალთა
სხვა არის ლოცვა განუკურნელი.

მესმოდა შენი უგონო ფიცი...
მერი, ძვირფასო! დღესაც არ მჯერა...
ვიცი წამება, მაგრამ არ ვიცი,
ეს გლოვა იყო თუ ჯვარისწერა?

ლოდებთან ვილაც მწარედ გოდებდა
და ბეჭდების თვლებს ქარში კარგავდა...
იყო ობლობა და შეცოდება,
დღესასწაულს კი ის დღე არ ჰგავდა.

ტაძრიდან გასულს ნაბიჯი ჩქარი
სად მატარებდა? ხედეა მიმძიმდა!
ქუჩაში მძაფრი დაჰქროდა ქარი
და განუწყვეტლად წვიმდა და წვიმდა.

ნაბადი ტანზე შემოვიხვიე,
თავი მივანდე ფიქრს შეუწყვეტელს...
ოჰ! შენი სახლი! მე სახლთან იქვე
ლონემიხილი მივანექ კედელს.

ასე მწუხარე ვიდექი დიდხანს
და ჩემს წინ შავი, სწორი ვერხვები
აშრილებდნენ ფოთლებს ბნელხმიანს,
როგორც გაფრენილ არწივის ფრთები.



МЕРИ

Той ночью в соборе венчалась ты, Мери!
На миг промелькнула очей твоих просинь
Сквозь дымку истомы... и знаком потери
Навек осенили нас небо и осень.

Собор весь светился, как сказочный терем,
Свечей вереница томила от зноя...
Той ночью белело лицо твое, Мери,
Какой-то иной – неземной – белизною...

А свет разгорался все ярче, все резче,
Цветы задышали елеем и миром...
Той ночью я понял: у раненных женщин
Другая молитва... неслышная миру.

Как горько звучало: «И ныне, и присно»...
Был полон отчаянья голос твой, Мери...
И что это было... Венчание? Тризна?
И вправду венчанье?! Не знаю... не верю.

Ведь кто-то, надрывно рыдал на погосте,
Жемчужные перстни бросая на ветер...
И, в гроб забивая точеные гвозди,
Смеялся могильщик... и в сердце мне метил...

Казалось, конца этой муке не будет,
В смятенье я кинулся прочь из собора –
Там ливень пылающий лоб мой остудит!
Там ветер мне будет надежной опорой!

Я шел наугад. Я отдался на волю
Щемящих мне душу, безрадостных мыслей.
Твой дом!.. И, пронзенный неистовой болью,
К прохладной стене я без сил прислонился.

Мне дом не ответил. Казалось, он умер.
Как долго стоял я?.. Не помню, родная.
Платаны ветвями шумели угрюмо,
Паля надо мной, как орлиная стая.

და შრიალებდა ტოტი ვერხვისა
რაზე – ვინ იცის! ვინ იცის, მერი!
ბედი, რომელიც მე არ მეღირსა, –
ქარს მიჰყვებოდა, როგორც ნამქერი.

ვთქვი: უეცარი გასხვიოსნება
რად ჩაქრა ასე? ვის ვევედრები?
რად აშრიალდა ჩემი ოცნება,
როგორც გაფრენილ არწივის ფრთები?

ან ცას ღიმილით რად გავცქეროდი,
ან რად ვიჭერდი შუქს მოკამკამეს?
ან “მესაფლავეს” რისთვის ვმღეროდი,
ან ვინ ისმენდა ჩემს “მე და ღამეს”?

ქარი და წვიმის წვეთები ხშირი
წყებოდნენ, როგორც მწყებოდა გული,
და... მე ავტირდი, ვით მეფე ღირი,
ღირი, ყველასგან მიტოვებული.

1915

И глухо о чем-то шептали мне ветви,
О чем?.. Разве мог я услышать их, Мери!
Ведь мимо поземкой клубился по ветру,
Тот жребий, в который так слепо я верил.

«Зачем же, – сказал я, – мне счастье пророча,
Луч вспыхнул на миг и во мраке растаял,
И, бросив меня одного среди ночи,
Мечты унеслись, как орлиная стая?»

Напрасно с улыбкой взирал я на небо.
Я богом был, Мери! А ныне я нищий,
И только лишь праздной толпе на потребу
Достались мои «Я да ночь» и «Могильщик»!

А дождь не кончался – печальный и мутный...
И сердце в ответ так отчаянно сжалось...
И я вдруг заплакал – как Лир бесприютный,
Отдавшийся буре на милость...

на жалость...

1915



თოვლი

მე ძლიერ მიყვარს იისფერ თოვლის
ქალწულებივით ხიდიდან ფენა:
მწუხარე გრძნობა ცივი სისოვლის
და სიყვარულის ასე მოთმენა.
ძვირფასო! სული მევსება თოვლით:
დღეები რბიან და მე ვბერდები!
ჩემს სამშობლოში მე მოვვლე მხოლოდ
უდაბნო ლურჯად ნახავერდები.
ოჰ! ასეთია ჩემი ცხოვრება:
იანვარს მოძმედ არ ვეძნელები,
მაგრამ მე მუდამ მემახსოვრება
შენი თოვლივით მკრთალი ხელები.
ძვირფასო! ვხედავ... ვხედავ შენს ხელებს,
ულონოდ დახრილს თოვლთა დაფნაში.
იელვებს, ქრება და კვლავ იელვებს
შენი მანდილი ამ უდაბნოში...
ამიტომ მიყვარს იისფერ თოვლის
ჩვენი მდინარის ხიდიდან ფენა,
მწუხარე გრძნობა ქროლვის, მიმოვლის
და ზამბახების წყებად დაწვენა.
თოვს! ასეთი დღის ხარებამ ლურჯი
და დაღალული სიზმრით დამთოვა.
როგორმე ზამთარს თუ გადავუჩრი,
როგორმე ქარმა თუ მიმატოვა!
არის გზა, არის ნელი თამაში...
და შენ მიდიხარ მარტო, სულ მარტო!
მე თოვლი მიყვარს, როგორც შენს ხმაში

ФИОЛЕТОВЫЙ СНЕГ

Когда он тихо падает с моста
И до реки не долетая, тает,
Когда любовь, таиться перестав,
Знакомой болью в сердце нарастает,
Любимая! Хоть издали навей
